პროლეტარეპო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

18 თებერვალი, ოთხშაბათი, 1987 წ.
№ 34 (9445) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

დიალოგის დასაწყისი

ბაკურიანი, 16 თებერვალი, (**საქინფორმის სპეც. კორ.**). თხილამურებზე შემდგარი სასაცილო ბაქია „ბაკური“ ბაკურიანში გახსნილი არქიტექტორ სამთო-მოთხილამურეთა III საერთაშორისო შეხვედრის სიმბოლო გახდა. და ეს შემთხვევითი არ არის. შეხვედრის მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ ყურაღქვიტასათვის დამახასიათებელი სისწრაფე და საზრიანობა შეესაბამება არქიტექტორთა საერთაშორისო სპორტული კლუბის სულისკვეთებას.

ხოლო, სერიოზულად! რომ ვთქვათ, უკვე სემინარის მუშაობის დაწყებამ გვიჩვენა, რომ ათი დღის მანძილზე არ ჩაცხრება მწვავე კამათი თანამედროვე არქიტექტურის პრობლემებზე და გაიმართება სამთო-მოთხილამურეთა საინტერესო ასპარეზობა. ამას მოწმობს სადისკუსიო კლუბის სხდომაც, სადაც განიხილეს „ბამშენისა“ და ბურიატთა ასსრ სახმშენის წინადადება ბამზე, ბაიკალის ტბის მახლობლად გამაჯანსაღებელი ცენტრის პროექტის შექმნის შესახებ. გამოცხადდა ბაკურიანის „ყინულის სასახლის“ პროექტების კონკურსი.

მუშაობას შეუდგა ჟიური, რომელიც აერთიანებს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ავტორიტეტიან არქიტექტორებს. იგი გამოავლენს „დაბა ბაკურიანისათვის დასვენებისა და გართობის ცენტრის“ პროექტის საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებულს.

ტურისტული კომპლექსი, სადაც დაბინავდნენ სსრ კავშირის, ბულგარეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, ესპანეთის, საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები, თავისებურ არქიტექტურულ გამოფენად იქცა. აქ გაიხსნა ექსპოზიციები „საქართველოს არქიტექტურა: გუშინ, დღეს, ხვალ“, შეხვედრის მონაწილეთა პროექტების პერსონალური გამოფენები, აგრეთვე თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტთა ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა.

თითოეულმა დელეგაციამ გააფორმა საკუთარი სტენდები, რომლებიც წარმოსახავს თანამედროვე ერთიან არქიტექტურას. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის წარმოგზავნილებმა წარმოადგინეს მეორე მსოფლიო ომის დროს დანგრეული პოლონეთის ქალაქების რეკონსტრუქციის პროექტების სერია, სლაიდები, რომლებიც გვაცნობს პოლონური დიზაინის სადღეისო ტენდენციებს.

საქინფორმის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში პოლონეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა მიროსლავ პოლაკმა თქვა:

— დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ არქიტექტორ-სამთო-მოთხილამურეთა საერთაშორისო შეხვედრის საქმიანობას. ჩვენი აზრით, სხვადასხვა ქვეყნის არქიტექტორთა შემოქმედებითი შეხვედრები ძალზე სასარგებლოა. აზრთა გულახდილი გაზიარება გვეხმარება მივაგნოთ არქიტექტორის მუშაობის შემდგომი სრულყოფის გზებს. თან იმასაც ვცდილობთ, რომ სრულყოფილი გახდეს ჩვენი ჰობი — სამთო-სათხილამურო სპორტი.

საქართველოში პირველად ვარ, გამოაცა ქართული არქიტექტურული სკოლის მაღალმა დონემ, განსაკუთრებით თბილისის ძველი უბნების რესტავრაციის მიზნით გაწეულმა მუშაობამ. ეს გამოცდილება, უეჭველად, დაგვეხმარება ისეთი ქალაქების მთელი რიგი რაიონების რეკონსტრუქციასა და აღდგენაში, როგორიც არის კრაკოვი და ელბლონტე.

შეგვაწუხა ცნობამ საქართველოში მომხდარი სტიქიური უბედურების შესახებ, — თქვა ბოლოს პოლონეთის დელეგაციის მეთაურმა. ამიტომ ერთსულოვნად გადავწყვიტეთ გადავრიცხოთ სტიქიური უბედურებით დაზარალებულთა ფონდში გარკვეული თანხა, აგრეთვე შევქმნათ და უსასყიდლოდ გადავცეთ სტიქიის შედეგად გაბადგურებული მთელი რიგი საცხოვრებელი სახლებისა და სხვა ობიექტების პროექტები.

დიალოგი ბაკურიანში გრძელდება.

(საქინფორმი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ აზარაშვილი, ისევ გოცირიძე

სულ მალე საფრანგეთში ევროპის მძლეოსანთა ზამთრის ჩემპიონატი გაიმართება. ამიტომ წინდაწინვე იყო მოსალოდნელი, რომ ჩვენი სპორტსმენების უკანასკნელ „გენერალურ რეპეტიციაზე“ — ქვეყნის თასის გათამაშებაში — მიღწევები მაღალი იქნებოდა. და მაინც შედეგებმა მოლოდინს გადააჭარბა. მოსკოვში მსოფლიოს სამი მიღწევა დამყარდა, ოღონდ — არაკლასიკურ დისტანციებზე: 1000 მეტრზე რბენაში მოსკოველმა იგორ ლოტორიოვმა თვით სებასტიან კოეს რეკორდი დაამხო და 2.18,0 აჩვენა. მოსკოველმა ლიუბოვ კირიუხინამ 600-მეტრიან დისტანციაზე გაიმეორა ლოტორიოვის წარმატება — 1.25,46. 500 მეტრზე ასპარეზობისას მსოფლიოს უმაღლესი მიღწევა დაამყარა ვოლგოგრადელმა მარინა ხარლამოვამ — 1.08,86.

შეჯიბრებაში წარმატებით გამოვიდნენ საქართველოს მძლეოსნებიც. მაია აზარაშვილი 200 მეტრზე რბენაში მესამე იყო, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ პირველ-მეორე ადგილებზე გასულმა ცნობილმა მძლეოსნებმა, ნატალია პომოშნიკოვამ და ოლგა ზოლოტარიოვამ მაიას სულ 0,04 წამით გაუსწრეს (მათი შედეგია 23,43). ამავე დისტანციაზე ვაჟთა შორის მესამე იყო ბესიკ გოცირიძე — 21,26 (ორივეს მწვრთნელი ევგენი გაგუაა). აღსანიშნავია, რომ ფინალში ერთი კი არა, რამდენიმე გარბენი ჩატარდა და გამარჯვებულიც ასე შეარჩიეს.

3-კილომეტრიან დისტანციაზე მეოთხე ადგილი დაიკავა ოლეგ სტრიჟაკოვმა საკმაოდ მაღალი შედეგით — 7.59,88.

— **30 იანვარს** მეუღლის დედულეთში ვიყავი, საგვიჩიოში. სტუმრები გვყავდა. 2 საათი იქნებოდა, საქონლის ბღავილი გავიგონეთ. მოგეხსენებათ, უბედურებას პირუტყვი ადამიანზე ადრე გრძნობს. ვერ



ჩემპიონი დამატებითმა მატჩმა გამოავლინა

თბილისში, ვაკის საცურაო აუზში დამთავრდა საქართველოს ჭაბუკ წყალბურთელთა პირველობა, რომელიც ჭაბუკთა II რესპუბლიკური სპორტული თამაშების პროგრამით გაიმართა. ორივე შეჯიბრებაში გამარჯვება თბილისის განათლების სამმართველოს წყალბურთელებმა მოიპოვეს.

აღსანიშნავია, რომ ჭაბუკთა II სპორტული თამაშების პროგრამით გამარჯვებულის გამოსავლენად ერთი ზედმეტი მატჩის გამართვა გახდა საჭირო, რადგან განათლების სამმართველოსა და თბილისის „დინამოს“ წყალბურთელებმა ქულათა თანაბარი რაოდენობა მოაგროვეს. დამატებით მატჩში, მინიმალური ანგარიშით (10:9) განათლების სამმართველოს გუნდმა გაიმარჯვა.

სურათზე, რომელსაც დღეს გთავაზობთ, სწორედ ამ დამატებითი მატჩის ერთი ფრაგმენტია აღბეჭდილი (ამ შეჯიბრებისადმი მიძღვნილ მასალას „ლელოს“ უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ).

ავთანდილ გურახაშვილის ფოტო.

მიმდინარეობს სროლის კვირეული

როგორც ვიუწყებოდით, გუშინ დაიწყო საკავშირო კვირეული ტყვიის სროლაში, რომელიც ხაბეოთა არმიის დღეს ეძღვნება. ტელეფონით უკვე შეგვატყობინეს კვირეულის პროგრამით გამართული შეჯიბრებების შესახებ. ცნობებს ცხადია, იქიდან გვაწვდიან, სადაც დროულად დაიჭირეს თადარიგი და ხერიოზულად მოეკიდნენ ახპარეზობის მაღალ დონეზე ჩატარებას.

გუშინ ჭეშმარიტად მასობრივი შეჯიბრება გაიმართა კიროვის სახელობის საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებელში“. ქარხნის ტირში 37 ხაამჭროს მუშა-მოხამსახურეებმა ხცადეს ძალა. ბევრმა ოჯახის წევრები მოიყვანა და ახპარეზობაში ჩაება. გთამაშდა პირადი და გუნდური ადგილები. უნდა ითქვას, რომ მხოლოდ ერთი წევრი ხამუშაოს არ მოცდენია — ყველაფერი შეხვენებაზე და ხამუშაო დღის დამთავრების შემდეგ ჩატარდა. მასობრივ ღონისძიებას უნარიანად ხელმძღვანელობდნენ გამოცდილი მწვრთნელი ტყვიის სროლაში კონსტანტინ პროზოროვი და ქარხნის ადმინისტრაციისა და სპორტკლუბის ხელმძღვანელები. ცნობებს ხხვა ორგანიზაციებიდანაც ველით.

დავით კვარაცხელია რუსეთის ჩემპიონია

ყველა სინჯის მედლით დაბრუნდა შინ თბილისელი სპორტის ოსტატი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი დავით კვარაცხელია. იგი შესანიშნავად გამოვიდა ჩელიაბინსკის „იუნოსტის“ კორტზე გამართულ რუსეთის ფედერაციის ღია პირველობაზე. ქართველმა ჩოგბურთელმა ჯერ პირადი პირველობის ფინალისკენ გაიკაფა გზა და გადამწყვეტი შეხვედრა მოსკოვის არმიელ ვ. ბაკულევთან წაგო — 4:6, 4:6. რის შედეგადაც ვერცხლის მედალს დაეპატრონა. შემდეგ კი იმავე ბაკულევთან ერთად გაიმარჯვა წყვილთა ასპარეზობაში. ამ დუეტმა მოსკოველ ს. სოჩნევსა და ტაშკენტელ ა. გორბაჩოვს სძლია ფინალში — 6:2, 6:2 და პირველობა მოიპოვა.

მესამე მედალი, ამჯერად ბრინჯაოსი, კვარაცხელიამ დაისაკუთრა შერეულ წყვილთა ტურნირში, სადაც მოსკოველ ა. პოდოლსკაიასთან ერთად გამოდიოდა.

უნივერსიადასა და ევროპის იუნიორთა პირველობაზე

თბილისელი ფიგურისტი ანდრეი ტოროსიანი შეყვანილია სსრ კავშირის სტუდენტთა ნაკრებ გუნდში, რომელიც ამ დღეებში ჩეხოსლოვაკიაში ზამთრის მსოფლიო უნივერსიადაზე გამგზავრება.

ახალგაზრდა ბაკურიანელი მოცეგავები კახა ვახტანგიშვილი და ლევან თიბილოვი კი იუგოსლავიის ქალაქ სარაევოში ოლიმპიურ ტრასებზე გამართულ ევროპის იუნიორთა პირველობაზე ისპარეზებენ ჩვენი ქვეყნის ნაკრებთან ერთად.

ძმა ძმისთვის...

დიდი გამოცდა

ათი წლის წინ ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულ სპორტულ რეპორტაჟში რესპუბლიკის უმაღლესი დოსტატების ცხაკაიის ჭიდაობის სპორტული სკოლა ქებით იყო მოხსენებული. მათ შორის ახალგაზრდა მწვრთნელი, სპორტის ოსტატი იგორ ნარმანიაც, რომელიც აქტიური სპორტსმენიც იყო და ძიუდოშიც ავარჯიშებდა შეგირდებს. დღეს იგორ ნარმანია კვლავ „ლელოს“ სტუმარია, თუმცა ამჯერად არა როგორც სპორტსმენი. 38 წლის კაცმა ცხაკაიის რაიონის სოფელ საგვიჩიოში წყალდიდობის დროს ხამშვიდობოს გამოიყვანა 50 კაცი. აი, რა გვიამბო იგორმა:

მოვისვენე და რიონის პირას გავედი. ჯებირის ნაპირამდე ამოსულიყო წყალი. ზევით შევყევი და დავინახე: მოსახვევში წყალს მოწაყრილი მოერღვია და ღვარცოფს ხეები და ფიცრები მოჰქონდა. უკან გამოვიქეცი და მეზობლებს შევძახე, სასწრაფოდ დატოვეთ სოფელი, წყალი ნაპირზე გადმოვიდა-

იხ. მე.2 გვ.

საქართველოს მოსწავლეთა პირველობა კალათბურთში

ფინალი სარეკორდო ანგარიშით

ფინალური მატჩში მონაწილეობა ღირსეულთა ხვედრია, მაგრამ არსებობს გამონაკლისიც... საქართველოს მოსწავლე კალათბურთელთა პირველობის დასკვნით შეხვედრაში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ თბილისის (პირველი) და აფხაზეთის ნაკრები გუნდები. დედაქალაქელ სპორტსმენთა უპირატესობა აშკარა იყო. მათ პირველი ტაიმი 48(!) ქულით (70:22) მოიგეს, საერთოდ შეხვედრა კი ანგარიშით 109:40. (მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ქუთაისელებმა სძლიეს სამტრედიელებს — 73:68). ეს შედეგი სარეკორდო იყო მთელ შეჯიბრებაზე. აფხაზეთის კალათბურთელებს იმითღა შეუძლიათ თავი ინუგეშონ, რომ აქ მონაწილე ნებისმიერ სხვა გუნდსაც იგივე დაემართებოდა. და აი რატომ: — სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ასპარეზობაზე, თბილისის გარდა, თითქმის ერთნაირი ძალის — საშუალოზე დაბალი მომზადების გუნდებმა მოიყარეს თავი, — გვითხრა შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა ნუგზარ ჭეიშვილმა. მიზეზი? — მწვრთნელების უპასუხისმგებლობა! ისეთი საკალათბურთო ტრადიციების ქალაქიდან, როგორიც ქუთაისია, საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებ გუნდში, წელს პირველად, ერთი კალათბურთელიც კი ვერ შეგვიყვანია. მხოლოდ სამტრედიის გუნდს ეტყობა პრო-

იხ. მე.4 გვ.

ძმა ძმისთვის...

დიდი გამოცდა

დასასრული

ბავშვები მაღალ სახლებში შეიყვანეთ, უბედურებაა-მეთქი მოსალოდნელი. ზოგიერთმა დამიჯერა. მეუღლე სტუმრებთან დავტოვე და ჩემი გოგონა ცოლისძმის მანქანით ცხაკაიაში, სახლში წავიყვანე. უმალვე უკან მოვბრუნდი. ფოთი-ცხაკაიის ტრასაზე, სოფლის გადასახვევთან ათიოდე კაცი დამხვდა. მითხრეს, სოფელი დაიტბორა, მანქანით ვეღარ შეხვალო. ისევ ცხაკაიაში დავბრუნდი. რაიკომის მდივანმა დალი შაფათავამ მითხრა რაიონის ხელმძღვანელები სოფელ ჭალადიდში დამბების გასამაგრებლად წავიდნენო. მალე ქუთაისიდან შვეულმფრენი მოფრინდა და ჭალადიდს მივაშურეთ. რაიკომის პირველ მდივან ბოხდო ჯიქიასთან ერთად დაუყოვნებლივ საგვიჩიოსკენ გავფრინდით. ჩვენთან ერთად იყვნენ მეორე მდივანი რევაზ ფაჩულია, აღმასკომის თავმჯდომარე მურმან ბელქანია, მოადგილე ანზორ ცაგურია, რაიონის სახალხო კონტროლის თავმჯდომარე ტარიელ დგებუაძე, კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი მამუკა ადამია. ხელის გულივით გადაიშალა დატბორილი სოფელი. ერთსართულიან სახლებს მხოლოდ სახურავებიღა უჩანდა. ამასობაში შვეულმფრენს საწვავი გაუთავდა და ისევ ქუთაისში გაფრინდა. დიდი სატვირთო მანქანები „კრაზები“ და „კამაზები“ უძლურნი აღმოჩნდნენ, საჭირო იყო ნავები და კატერები. ბედად ჩვენს მეგობარს, ცხაკაიელ სპორტის ოსტატს, სამბოში უკრაინის ყოფილ ჩემპიონს, ზაურ ვახანიას გასაბერი ძრავიანი ნავი ჰქონია და ის წამოვიღეთ. ცხაკაია—ფოთის ტრასაზე სოფლის გადასახვევთან შემოგვიერთდნენ ზაურ ფაჩუაშვილი და მუშურ ყურაშვილი. ღამის 2 საათზე ტრასის პირას რაიკომის თანამშრომლები აღელვებული ელოდებოდნენ მაშველ ძალას. მე, ზაურმა და მუშურმა ნავით წყალში შევცურეთ. დატბორილი მიდამო ზღვასავით იყო აზვირთებული. მალე დავინახეთ ანთებული ფანარი, რომელიც უკუნს კვეთდა. შველას ითხოვდნენ. გეზი მათკენ ავიღეთ, მაგრამ რაღაცას წამოვედეთ და ნავმა ძიგძიგი დაიწყო. ქარის ღმუილში და მდინარის ხმაურში გავარჩიეთ ქალის კივილი, იგი შველას ითხოვდა. „კრაზის“ ძარის სახურავზე ერთი ქალი და სამი ჯარისკაცი თავს ძლივს იმაგრებდნენ. ჩავსვით ნავში და სამშვიდობოს გამოვიყვანეთ. ძრავა შევაკეთეთ და კვლავ სოფლისაკენ ავიღეთ გეზი. ფანრებით მივიკვლევდით გზას. იმ ადგილს რომ მივუახლოვდით, სადაც ოცოდე წუთის წინ „კრაზი“ იდგა, მანქანა ვეღარ დავინახეთ, წყალს დაეფარა. მერე მორი დაგვეტაკა და გადაბრუნებას სასწაულად გადავრჩით. ორსართულიანი სახლიდან ყვირილი ისმოდა: გვიშველეთ, ბავშვები მაინც წაიყვანეთო. 15 კაცამდე იყვნენ. შევძახეთ, არ შეგეშინდეთ, ქუთაისიდან მაშველი მოდის და მანამდე თოკებით ტივები შეკარით-თქო. 100 მეტრში ჰატარა სახლის სახურავის თავზე მამას შვილი ჩაეხუტებინა. მათ ჰატარა ნავი დავუტოვეთ და გზა გავაგრძელეთ. ჩემი მეუღლის სახლში შუქი ჩანდა, მაგრამ ძახილზე არავინ გვიპასუხა. 4 საათი იყო უკვე. კაცის ყვირილი შემოგვესმა — ტალავერზე იდგა, ბავშვებისთვის შემოეხვია ზელები და მუგუზალს გვიქნევდა. იგორ, ოღონდ შვილიშვილები გადამირჩინე და ჩემს თავს აღარ დავეძებო. მიყვიროდა, ძნელი იყო ყველასათვის აგვეხსნა, რომ ნავი არანაკლებ სახიფათო იყო. მალე შუბითიძეების სახლიდანაც შემოგვესმა ყვირილი. ჩემი მეუღლის ხმა ვიცანი. ბავშვები წაიყვანეთო, გვთხოვდნენ. ქალებმა წყევლაც კი დაგვიწყეს და ლაჩრები გვიწოდეს. არც გაემტყუნებოდათ მათ, მაგრამ რადგან შედარებით უსაფრთხო ადგილას იყვნენ, გზა გავაგრძელეთ. სოფლის ბოლოში გავედით. ისეთი აღარავინ შეგვხვედრია, ვისაც გადაუდებელი დახმარება სჭირდებოდა, ალბათ მაღალ სახლებში შეასწრეს წყალს. ტრასისკენ გამოვბრუნდით, სადაც გველოდებოდნენ რაიკომის თანამშრომლები. დილის 7-ის ნახევარზე გრიგალი ამოვარდა, ერთი საათის შემდეგ სამჯერო შვეულმფრენით ვცადეთ აფრენა, მაგრამ უშედეგოდ. 11 საათზე ქუთაისიდან სამოქალაქო ავიაციის ორი შვეულმფრენი მოფრინდა. ამასობაში ქარი თითქოს ჩადგა. დავიწყეთ ხალხის გამოყვანა. საკუთარი კატერიანი ნავები მოგვაშველეს ხობის სამძებრო განყოფილების უფროსმა ვეტერანმა მოტო-სპორტსმენმა სოსო გუნიავამ, მძღოლმა გრიგოლავამ (მისი სახელი აღარ მახსოვს), გივი პაჭკორიამ, შურმან გრიგოლიამ. 5 საათზე მთლიანად დაიცალა სოფელი. სულ ბოლოს იმ სახლს მივადექით, სადაც ჩემი მეუღლეც იყო. თანასოფლელმა გოგონამ ტირილი დაიწყო, მამაჩემი დარჩა სახლში, იქნებ უშველოთო. შვეულმფრენით მოვძებნეთ სახლი, მაგრამ იქიდან არავინ გამოგვეხმაურა. მესამე დღეს სოფლის თავში ვიპოვეთ გოგონას მამა. სხვენში ასულიყო და დიდხანს ცივ წყალში მდგარა, ძახილი კი ესმოდა, მაგრამ თავად ხმას ვეღარ იღებდა თურმე. ჩემი მონაყოლით ძნელია იმის წარმოდგენა რაც მოხდა. ძნელია იმითომ, რომ კაცს არ შეუძლია ამის გადმოცემა. გოგოლაძეებს კარები ჩამოუხსნიათ და სხვენში ბოძებზე გაუდევთ, 7 კაცი იწვა ზედ. მთავარი ისაა, რომ სოფელში არც ერთი კაცი არ დაღუპულა.

იგორ ნარმანიას 30 საათის განმავლობაში მუხლი არ ჩაუხრია, თავიდან ფეხამდე სველი ეხმარებოდა გაჭირვებაში ჩავარდნილთ, ზურგით გადაჰყავდა ბავშვები და მოხუცები. დღეს მას ლოცვა-კურთხევით იხსენებს ყველა. სწორედ სპორტში წრთობამ შეაძლებინა ამ არნახული გაჭირვების გადატანა. ცხადია, იგორ ნარმანია მარტო არ იყო, მას გვერდით სხვებიც ედგნენ. ცხოვრების ასეთ გამოცდას ბევრი ვერ უძლებს, არც საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდება შეუძლია ყველას.

საუბარი ჩაიწერა
ჯემალ კასარაძემ.

● **სპორტის** ზამთრის სახეობებში საქართველოს სპორტსახკომის უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლის კოლექტივმა 500 მანეთი გიიღო. მასთან ზამთრის სეზონის დამთავრებისთანავე მთელი სკოლა სვანეთში გაემგზავრება აღდგენით სამუშაოებზე.

ზურაბ ვაშაკიძე,
სპორტსახკომის მთავარი მწვრთნელი.

● **ტყიბულის** სპორტულმა ორგანიზაციებმა სამი დღის ხელფასი დაარიცხეს დაზარალებულთათვის დახმარების გაწევის ფონდში. გარდა ამისა სპორტსმენებისაგან შევადგენეთ სპეციალური ბრიგადა, რომელიც პირველი დაძახებისთანავე მზადაა გაემგზავროს ნებისმიერ რაიონში აღდგენით სამუშაოებზე. ამ ბრიგადამ თვით ტყიბულში აქტიური მონაწილეობა მიიღო მთაში დიდთოვლისგან წყალსადენის დაზიანებული უბნის აღდგენაში.

ტყიბულის სპორტკომიტეტი.

● **ძვირფასო** რედაქცია! 1986 წლის 22 ნოემბერს „ლელოში“ დაიბეჭდა ჩემი წერილი „ფალავანთა დიდი სარბიელი“. გთხოვთ ჰონორარი მთლიანად გადარიცხოთ № 700 ანგარიშზე.

ვანო ტერუნაშვილი,
ქართული ჭიდაობის რესპუბლიკური ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი.

კვალიფიკაცია აიმაღლეს

თბილისის საბინაო მეურნეობის სამმართველომ მოაწყო კვალიფიკაციის ასამაღლებელი სემინარი სამმართველოს სისტემაში შემავალი ტრესტებისა და საბინაო-საექსპლოატაციო უბნების ფიზკულტურის მეთოდისტებისათვის. სემინარული სწავლების კურსი გაიარა და გამოსაშვები გაჰოცდები ჩაბარა 48 ფიზკულტურელმა მუშაკმა. მათ ლექციები წაუკითხეს საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა ნ. ავალიანმა, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის პროფესორმა ა. ციბაძემ, რესპუბლიკის სპორტსახკომის მეთოდური ცენტრის უფროსმა დ. კინწურაშვილმა და სხვებმა. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში კიდევ 25 მეთოდისტი აიმაღლებს კვალიფიკაციას.

ლევან ყურაშვილი,
თბილისის საბინაო მეურნეობის სამმართველოს უფროსი ინსტრუქტორ-მეთოდისტი.

მოკლედ

თბილისში...

ჯანმრთელობის IV საქალაქო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ შეჯიბრებაში — 64-უჯრედიან შაშში გამართულ ქალაქის გუნდურ პირველობაში გაიმარჯვა ოქტომბრის რაიონის გუნდმა. მეორე იყო პირველი მაისის რაიონის გუნდი, მესამე — საბურთალოს რაიონის კოლექტივი.

როლანდ ჟერდიეოშვილი.

სამტრედიაში...

ადგილობრივ საჭადრაკო კლუბში გაიმართა რაიონის პირველობა ჭადრაკში ქალთა შორის. შეჯიბრებაში 12 მოჭადრაკე მონაწილეობდა, მათ შორის 2 ოსტატობის კანდიდატი.

ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა სამტრედიის მე-3 საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლემ, პირველთანრიგოსანმა ანა გელაშვილმა (მწვრთნელი — ოსტატობის კანდიდატი ბესო ლეჟავა), რომელმაც ყველა შეხვედრა მოიგო და 11 შესაძლებლიდან 11 ქულით პირველად მოიპოვა რაიონის ჩემპიონის წოდება.

იორამ ნიკოლეიშვილი,
„ლელოს“ კორ.

ვინც თავისი საქმე იცის



ეს ფოტოსურათი ზუსტად 40 წლის წინათია გადაღებული. მასზე აღბეჭდილია ქართული საჭიდაო სკოლის ოთხი ბრწყინვალე წარმომადგენელი: ვასილ ილურიძე, ლეონიდ ძეკონსკი, გოგი ვარძელაშვილი და დავით ციმაკურიძე. ოთხი ათეული წლის წინ ისინი ერთად იცავდნენ ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას საკავშირო შეჯიბრებებში, მერე კი მათი გზები გაიყარა, თუმცა ერთი რამ მუდამ საერთო ჰქონდათ — ჭიდაობის უანგარო სიყვარული, სურვილი იმისა, რომ თავიანთი ცოდნა და გამოცდილება რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდისთვის გაეზიარებინათ და აკი დიდი სამსახურიც გაუწიეს ქართულ სპორტს.

ოთხი ათეული წლის წინ კი... მათ, „ბოლშევიკის“ წარმომადგენლებმა, როგორც ამ საზოგადოების უძლიერესმა მოჭიდავეებმა ოთხ სხვა მოჭიდავესთან ერთად პროფკავშირების ცენტრალური საბჭოს პირველობაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. მაშინ ეს შეჯიბრება, თავისი რანგით და მნიშვნელობით, საკავშირო ჩემპიონატის შემდეგ მეორე იყო და ფაქტიურად. პროფკავშირების ყველა უძლიერეს მოჭიდავეს უყრიდა თავს.

ერთი უმნიშვნელო, მაგრამ იმ დროისთვის საკმაოდ დამახასიათებელი დეტალი. გიორგი ვარძელაშვილი და ლეონიდ ძეკონსკი „ნამდვილი კლასიკოსები“ იყვნენ. ვასილ ილურიძე და დავით ციმაკურიძე კი, მიუხედავად იმისა, რომ კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ტურნირებში ხშირად და წარმატებით გამოდიოდნენ, მონათესავე სახეობის, თავისუფალი სტილის მოჭიდავეებად ითვლებოდნენ, მაგრამ როცა საზოგადოების ან რესპუბლიკის ინტერესების დაცვა იყო საჭირო, ამ განსხვავებას ყურადღებას ვინ აქცევდა?

ერთი სიტყვით, „ბოლშევიკის“ ჩემპიონთა წინაშე საკმაოდ ძნელი ამოცანა დაისახა: მათ თავისი საზოგადოების ინტერესები პროფკავშირების იმ პირად-გუნდურ საკავშირო პირველობაში უნდა დაეცვათ, რომელიც რიგაში ტარდებოდა. ყველა წონაში ერთობ ძლიერი მოჭიდავეები გამოდიოდნენ.

აი, როგორ იგონებს ამ შეჯიბრებას მისი ერთ-ერთი მონაწილე, 70 წლის გადაბიჯებული საკავშირო კატეგორიის მსაჯი და საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, ბევრი გამოჩენილი სპორტსმენის აღმზრდელი გიორგი ვარძელაშვილი: „უმჩატეს წონაში, სადაც გამოვდიოდი, რამდენიმე ცნობილი მოჭიდავე იყო. ამის მიუხედავად, ყველა შეხვედრა კარგად ჩავატარე და შვიდი წმინდა გამარჯვება მოვიპოვე ისე, რომ ქულა არც ერთი მეტოქისთვის არ დამითმია. საქართველოს მოჭიდავეთა გარდა, „ბოლშევიკიდან“ ჩემპიონი გახდა რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი მ. სტრიჟაკიც. ჩვენმა სპორტსაზოგადოებამ პროფკავშირების ცენტრალური საბჭოს ჩემპიონობა მოიპოვა და, „ზენიტის“ ძლიერი გუნდი 2 ქულით ჩამოიტოვა.

● **რა დაგამახსოვრდათ ამ შეჯიბრებიდან?**

— მძიმე წონაში ჩვენი გუნდის ღირსებას ცირკის ცნობილი მოჭიდავე ი. პლიასულია იცავდა. იგი სწრაფი, მოქნილი და ტექნიკური მებრძოლი იყო, მაგრამ როგორც ცირკის ყველა მოჭიდავეს, გამძლეობა არ ჰყოფნიდა და მალე იღლებოდა. არადა ჭიდაობა 20 წუთს გრძელდებოდა, მეტ ხანს ვიდრე საცირკო სანახაობებში.

ფინალური შეხვედრა პლიასულიამ მასზე გაცილებით მძიმე და ღონიერ მოჭიდავესთან თავბრუდამხვევი ტემპით დაიწყო. მეტოქე ორჯერ ხიდურზე გადაიყვანა და ორჯერვე დაუძვრა იგი წმინდა დამარცხებას, მაგრამ მესამე შეტევა ვეღარ დაამთავრა — გულაღმა გაიშლართა სარბიელზე და მეტოქეს უბრძოლველად დანებდა.

● **კლასიკურ ჭიდაობაში როდის დაიწყეთ ვარჯიში?**

— საჭიდაო დარბაზში პირველად 1937 წელს მივედი. ფიზკულტურის ტექნიკუმის მოსწავლეს ბედმა გამიღიმა, ჩემს წვრთნა-დაოსტატებას ისეთმა დაკვირვებულმა და უნარიანმა მწვრთნელმა მოჰკიდა ხელი, როგორიც მიხეილ თიკანაძე გახლდათ. მან სულ რაღაც ერთ წელიწადში მაქცია მოჭიდავედ. პირველი წარმატება საქართველოს ჩემპიონატში ვიზეიმეთ.

● **მიხეილ თიკანაძე ბოლომდე თქვენი მწვრთნელი იყო?**

— ფიზკულტურის ტექნიკუმიდან მიხეილ თიკანაძე ინსტიტუტში გადაიყვანეს მასწავლებლად და მწვრთნელმა მეც თავისთან გადამიყვანა. ერთად ვიყავით ინსტიტუტის დამთავრებამდე, მერე სამამულო ომი დაიწყო და სხვა თანატოლებთან ერთად სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩავდექი.

● **მწვრთნელობა როდისღა დაიწყეთ?**

— ომის დამთავრების შემდეგ თბილისში ჩამოვედი და ჩემი საყვარელი მწვრთნელის კვალს გავყევი.

● **ვის დაახახელებთ თქვენი აღზრდილებიდან?**

— გოდერძი ჩიტიაშვილს, რომელმაც ჯერ სამჯერ ზედიზედ მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სახელი ჭაბუკთა შორის, მერე მოზრდილთა შეჯიბრებაშიც ოქროს მედალი დაისაკუთრა; მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს გივი კარტოზიას, აგრეთვე მერაბ და ელგუჯა ღუდუშაურებს, გელა ჭელიძეს, ოთარ ვალიევს, სხვებსა და სხვებს...

გოგი ვარძელაშვილი ახლაც მხნედ გრძნობს თავს და თავის საყვარელ საქმეს — ახალგაზრდა მოჭიდავეთა აღზრდას, აღრინდელი ენერგიითა და მონდომებით ემსახურება. ასეა ყველა, ვინც თავის ადგილს პიაგნებს ცხოვრებაში.

ნოდარ ახვლედიანი.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

„ლანჩხუთის“ ახალგაზრდა მეჭიდაურთა ავ-კარგი“

„ლელოს“ 20 იანვრის ნომერში ამ სათაურით დაიბეჭდა ხაჭიფორმის მასალა, რომელშიც ლაპარაკი იყო იმაზე, რომ „გურიის“ სტადიონის მშენებლებს ლითონკონსტრუქციებს შეფერხებით აწვდიან.

ახლახან ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ვ. ჩუბინიძემ გვაცნობა: „ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მისამართით გამოთქმული შენიშვნები განვიხილეთ სამმართველოს პარტიული კომიტეტის სხდომაზე. გაირკვა, რომ ლანჩხუთის სტადიონის მშენებლობისათვის განკუთვნილი ლითონკონსტრუქციებით დატვირთული ვაგონების დანიშნულების ადგილზე დაგვიანებით ჩასვლა გამოიწვია 11 იანვარს სადგურ წიფაში მომხდარმა საგანგებო შემთხვევამ, რომელმაც გარკვეულ პერიოდში შეაფერხა გზის ექსპლოატაცია. ვაგონების დაგვიანებით ჩასვლა განაპირობა აგრეთვე რუსთავის, თბილისის სახარისხებელი და სხვა სადგურების არაორგანიზებულმა მუშაობამ.

ამიერკავკასიის რკინიგზის განყოფილებებისა და სადგურების მუშაობაზე კონტროლის შესუსტებისათვის, რამაც გამოიწვია ვაგონების ლანჩხუთში დაგვიანებით ჩასვლა, ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის მოადგილესა და მოძრაობის სამსახურის უფროსის მოადგილეს, სკკპ წევრებს, ამხანაგებს ს. ჭაეულსა და ა. ნადირაშვილს მიეთითათ. მათ დაევალათ ყოველდღიურად შეამოწმონ როგორ იგზავნება განსაკუთრებული დანიშნულების ტვირთი. ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის მოადგილეს, სკკპ წევრს ი. ლომიძეს დაევალა სისტემატური კონტროლი დააწესოს ლანჩხუთის სტადიონის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოებზე. რუსთავისა და თბილისის სახარისხებელი სადგურების ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის საკითხი განსახილველად გადაეცა რკინიგზის თბილისის განყოფილების ხელმძღვანელობასა და თბილისის კვანძის პარტიულ კომიტეტს. ცნობად იქნა მიღებული, რომ სადგურ წიფასთან მომხდარ საგანგებო შემთხვევაში დადანაშაულებულ პირებს დადგთ მკაცრი ადმინისტრაციული სასჯელი.

გაცნობებთ, რომ კრიტიკულ წერილში მოხსენიებული ვაგონები 24 იანვარს დანიშნულების ადგილზე იმყოფებოდა“.

დღეს სუონსიში

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების პირველ საკონტროლო მატჩში მონაწილეობის მისალებად მიწვეულნი არიან თბილისის „დინამოს“ წევრები ალექსანდრე ჩივაძე და თენგიზ სულაქველიძე

დღეს უელსის ქალაქ სუონსიში გაიმართება ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდებიან უელსისა და სსრ კავშირის პირველი ნაკრები გუნდები.

უელსელებს ამ მატჩისთვის ასეთი სავარაუდო შემადგენლობა ჰყავდათ: **მეკარეები** — საუთჰოლი („ევერტონი“) და ნეზვეცკი („ჩელსი“); **მცველები** — სლეტერი („ოქსფორდი“), პატ ვან დენ ჰოუვე („ევერტონი“), რეტკლიფი („ევერტონი“), ჯეკეტი („უოტფორდი“), ჯეიმსი („ქუინზ პარკ რეინჯერსი“), ფილიპსი („კოვენტრი“); **ნახევარმცველები** — ნიკოლასი („ლუტონი“), აიზლივუდი („ლიდსი“), ბლეკმორი („მანჩესტერ იუნაიტედი“); **თავდამსხმელები** — რაში („ლივერპული“), ჰიუზი („ბარსელონა“), ალენი („უოტფორდი“), ჩარლზი („ოქსფორდი“), ჰოჯესი („უიმბლდონი“).

უელსის ნაკრების მწვრთნელი მაიკლ ინგლენდი იმედოვნებდა, რომ თავს მოუყრიდა ყველა იმ ძლიერ ფეხბურთელს, რომლებიც უცხოეთის კლუბებში გამოდიან, მაგრამ ზოგიერთ მათგანს ამ კლუბების გამგებლებმა არ დართეს უელსის ნაკრებში მონაწილეობისთვის სამშობლოში გამგზავრების ნება, კერძოდ, ფილიპსს, ჯაკეტს, ჩარლზს და, მაინც, უელსში ოპტიმიზმით ელიან დღევანდელ თამაშს, „ვეტჩ ფილდის“ სტადიონზე გაყიდულია ყველა 20 ათასი ბილეთი. უელსელი ფეხბურთელები კარგ ფორმაში არიან, განსაკუთრებით ცნობილი ბომბარდირები რაში და ჰიუზი.

მასპინძელთა ნაკრების № 1 ფეხბურთელია რაში, რომელიც ახლა „ლივერპულში“ თამაშობს და ინგლისის ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერია. იგი ამას წინათ შეიძინა იტალიის „იუვენტუსმა“, მაგრამ ამ კლუბში რაში მხოლოდ შემდგომი სეზონიდან ითამაშებს. მატჩზე დასასწრებად უელსში ჩავიდა „იუვენტუსის“ პრეზიდენტი ჯუზეპე ბონიპერტი, მას სურს ნახოს ჰიუზის თამაში და ისიც მიიწვიოს თავის კლუბში.

საბჭოთა ფეხბურთელები ორშაბათს გაფრინდნენ უელსს. მატჩში მონაწილეობას ვერ მიიღებენ დაშავებული ვ. ბესონოვი („დინამო“, კიევი), აგრეთვე, სპარტაკელები რ. დასაევი, ვ. ხიდიატულინი და ს. როდიონოვი, რომლებიც მოსკოვის „სპარტაკთან“ ერთად არგენტინას გაემგზავრნენ ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად.

უფროსმა მწვრთნელმა ვ. ლობანოვსკიმ უელსის ნაკრებთან სათამაშოდ მიიწვია შემდეგი ფეხბურთელები: **მეკარეები** — მიხაილოვი და ჩანოვი („დინამო“, კიევი); **მცველები** — ჩივაძე და სულაქველიძე („დინამო“, თბილისი); კუზნეცოვი, ბალტაჩა და დემიანენკო („დინამო“, კიევი); **ნახევარმცველები** — გოცმანოვი და ალეინიკოვი („დინამო“, მინსკი), რაცი და იაკოვენკო („დინამო“, კიევი), ლიტოვჩენკო („დნეპრი“, დნეპროპეტროვსკი); **თავდამსხმელები** — ბლოხინი, ევტუშენკო, ბელანოვი და ზავაროვი („დინამო“, კიევი), პროტასოვი („დნეპრი“, დნეპროპეტროვსკი),

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის წინ, რომელსაც საბჭოთა ფეხბურთელები 29 აპრილს ჩაატარებენ კიევში, ჩვენს ნაკრებს დაგეგმილი აქვს კიდევ ორი საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა — 25 მარტს და 18 აპრილს.

საკონტროლო მატჩები

ჩვენი ქვეყნის სამხრეთის ქალაქებში გაიმართა ოსტატ ფეხბურთელთა წინასასეზონო საკონტროლო მატჩები. გთავაზობთ რამდენიმე შედეგს:

„დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)— „არარატი“ (ერევანი) 2:0, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 2:1, „დინამო“ (კიევი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) 1:0, „ტორპედო“ (მოსკოვი) — „სოკოლი“ (სარატოვი) 1:0, „დინამო“ (კიევი) — „არარატი“ 0:0, „ტორპედო“ (მოსკოვი) — „ფახთაჩორი“ (ტაშკენტი) 2:0.

„ჟირონდა“ ემზადება

ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მეოთხედფინალში მოსკოვის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა მეტოქე საფრანგეთის „ჟირონდა“ ემზადება მომავალი მატჩებისთვის.

„ჟირონდამ“ პორტუგალიის ქალაქ პორტუში ანგარიშით 0:4 წააგო „პორტუსთან“, შემდეგ კი შინ დამარცხდა ინგლისის ჩემპიონატის ლიდერ „ევერტონთან“ — 1:2.

უნგრელი ექსპერტების აზრით

უნგრელ სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია სწორად მოიქცა, როცა ნაკრებს გამოცდილი იოჟეფ ვერებეში დაუნიშნა. ი. ვერებეშმა მოკლე დროში წესრიგი დაამყარა ნაკრებში, შეადგინა ზუსტი სამუშაო გეგმა, მოიწვია ახალი ფეხბურთელები. უნგრელებს უიმედო მდგომარეობა აქვთ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში, გუნდი ზომ სხვა შეჯიბრებისთვისაც უნდა მოემზადოს.

ბუდაპეშტში გამართულ პრესკონფერენციაზე ი. ვერებეშმა უპასუხა ჟურნალისტთა შეკითხვებს:

— ნაკრებში მხოლოდ ის მოთამაშეები შევლენ, რომელთაც უდიდესი თავდადების გამოჩენა შეუძლიათ, რადაც უნდა დაგვიჯდეს, საჭიროა მივაღწიოთ უნგრული ფეხბურთის რეაბილიტაციას.

იტალიური საფეხბურთო ბაზარი

იტალიის პირველ ლიგაში ახლა 26 უცხოელი ფეხბურთელი თამაშობს, ამჟამად კი ახალი გარიგებები ხდება. რაში ინგლისის „ლივერპულიდან“ ტურინის „იუვენტუსში“ გადადის, ვან ბასტენი ჰოლანდიის „აიაქსიდან“ — „მილანში“, გფრ-ის ნაკრების მცველი ბერტჰოლდი — „ელასში“ (ვერონა). არგენტინელი თავდამსხმელი ბორხის მიწვევა სურთ „ასკოლის“, „კომოსა“ და „მილანს“, იუგოსლავიელი გუდელისა — „ფიორენტინას“, „სამპდორიასა“ და „ტორინოს“, გფრ-ის ნაკრების ნახევარმცველ მათეუსისა — „ინტერსა“ და „ნაპოლის“.

ბერკინშოუ — „სპორტინგში“

ცნობილმა ინგლისელმა სპეციალისტმა კეიტ ბერკინშოუმ, რომელიც 8 წლის მანძილზე სათავეში ედგა ლონდონის „ტოტენჰემს“, შემდეგ კი ბახრეინის ეროვნულ ნაკრებს, ხელშეკრულება გააფორმა ლისაბონის „სპორტინგთან“.

ევარისტო მასედა დაითხოვეს

ბრაზილიელ მწვრთნელს ევარისტო მასედას მძიმე დღეები დაუდგა. მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ იგი გაათავისუფლეს ერაყის ეროვნული ნაკრების მწვრთნელის თანამდებობიდან. ზაფხულში ევარისტო კატარის ნაკრებს ჩაუდგა სათავეში, სადაც 1988 წლამდე უნდა ემუშავა, მაგრამ ამ ქვეყნის ფეხბურთის მესვეურებმა მიიჩნიეს, რომ ნაკრებს წინსვლა არ ეტყობა და ამიტომ მწვრთნელთან კონტრაქტი დაარღვიეს.

ამიერკავკასიის პროფესორ-მასწავლებელთა სპარტაკიადა

ყოველ წელს შეხვდებიან...

ამიერკავკასიის პროფესორ-მასწავლებელთა სპარტაკიადამ, რომელიც ამ დღეებში დამთავრდა თბილისში, დიდი ინტერესი გამოიწვია. „ლელოს“ კორესპონდენტმა ინტერვიუ ჩამოართვა ასპარეზობის მთავარ მსაჯს, თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს ჯანხუდ ბაგრატიონს.

● **უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა სპარტაკიადა ჩვენს რესპუბლიკაში სხვა დროსაც ჩატარებულა, მაგრამ შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის წლეულს პირველად მოიწვიეს მომძმე რესპუბლიკების — სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლები. რას გვეტყოდით ამ ასპარეზობის მნიშვნელობაზე?**

— როგორც ცნობილია, ამიერკავკასიის სამი მომძმე რესპუბლიკის სპორტული ტრადიციები ჯერ კიდევ 20-იანი წლებიდან იღებს სათავეს. 1928 წელს პირველ საკავშირო სპარტაკიადაში სამივე რესპუბლიკის სპორტსმენები ერთ გუნდად გამოდიოდნენ. ადრე ამ რესპუბლიკების მეგობრული სპორტული თამაშებიც ტარდებოდა. პროფესორ-მასწავლებელთა სპარტაკიადის ჩატარებაც დროის მოთხოვნითაა ნაკარნახევი. სამწუხაროდ, შეჯიბრებაზე ვერ ჩამოვიდნენ აზერბაიჯანის წარმომადგენლები. ასეთ შეხვედრებს ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. თავად განსაჯეთ, სპორტულ სარბიელზე ერთმანეთს ხვდებიან ალმზრდელები და ამით შესანიშნავ მაგალითს აძლევენ ახალგაზრდებს. ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდაშიც დიდი წვლილი შეაქვს ამგვარ შეხვედრებს. „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკურ საბჭოს და განათლების მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის მიერ ორგანიზებული ამ ღონისძიებით უდავოდ კარგ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი. აქვე გეტყვით: მომავალი წლიდან ეს სპარტაკიადა ამიერკავკასიის რესპუბლიკების სპორტულ ღონისძიებათა კალენდარში შევა.

● **წელს პროგრამაში იყო მძლეოსნობა, მინიფეხბურთი, ფრენბურთი, ცურვა, ტყვიის სროლა და ჭადრაკი, მომავალში ალბათ პროგრამა გაფართოვდება.**

— რაკი კურსი მასობრიობაზეა აღებული, ბუნებრივია, პროგრამაც გაიზრდება. მომავალში სამივე რესპუბლიკასთან შეთანხმებით სასპარტაკიადო შეჯიბრებები კიდევ რამდენიმე სახეობაში გაიმართება.

● **წლევანდელმა სპარტაკიადამ, როგორც „ლელოს“ მკითხველებმა უკვე იციან, გამოავლინა გამარჯვებულები და პრიზიორები, მაგრამ ამ ღონისძიების ერთი მთავარი ამოცანა იმის შემოწმებაც იყო, თუ რა მდგომარეობაა უმაღლეს სასწავლებლებში, როგორ ინერგება ფიზკულტურა და სპორტი პროფესორ-მასწავლებელთა შორის.**

— მინდა გითხრათ, რომ, რაც დრო გადის, ფიზკულტურისა და სპორტისადმი სულ უფრო მეტ ინტერესს ავლენენ უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები. ამაკალითად დასახელებ თბილისის უნივერსიტეტს და საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს, რომლებმაც სპარტაკიადაში შესაბამისად პირველი და მეორე ადგილები დაიკავეს. სიამოვნებით აღვნიშნავ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის კოლექტივის დიდ დაინტერესებას მასობრივი სპორტით. ამ სასწავლებელს მესამე საპრიზო ადგილი ხვდა. სპორტის ცალკეულ სახეობებში კარგად იასპარეზეს მომძმე სომხეთის წარმომადგენლებმა. მაგალითად, ერევნის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის წევრები უძლიერესნი იყვნენ მძლეოსნობასა და ცურვაში. უნივერსიტეტელები მინიფეხბურთში, ხოლო ერევნის პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენლები ტყვიის სროლაში მესამე ადგილებზე გავიდნენ.

● **არაფერი გვითქვამს გუნდებისა და მონაწილეთა რაოდენობაზე...**

— სპარტაკიადაში მონაწილეობდა საქართველოს (თბილისი, სოხუმი, ცხინვალი, ბათუმი, ქუთაისი, თელავი, გორი) 19 უმაღლესი სასწავლებელი და სომხეთის უკვე ხსენებული სამი კოლექტივი. სარბიელზე სულ 380 პროფესორ-მასწავლებელი გამოვიდა.

სოხუმის უნივერსიტეტისა და თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის მოჭადრაკეთა შეხვედრა.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

მიზანი: მზადყოფნის შემოწმება

თელავი. მოსწავლე ძიუდოისტთა რესპუბლიკურ პირად პირველობაში 1971-1972 წლებში დაბადებული ათლეტები მონაწილეობდნენ. პირველობისათვის იბრძოდნენ ქალაქების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და რაიონების ნაკრები გუნდები. შეჯიბრებას ერთი კონკრეტული მიზანი ჰქონდა: შეემოწმებინა მოსწავლე ძიუდოისტთა ოსტატობა და შეერჩია რესპუბლიკის ნაკრებისთვის რაც შეიძლება მომზადებული და ღირსეული კანდიდატები.

ახალგაზრდებმა კარგი ფიზიკური და ტექნიკური მომზადება გამოამჟღავნეს. განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურეს ახმეტელებმა ზ. სამუკაშვილმა და მ. სარქისაშვილმა, საგარეჯოელმა გ. კირაკოზაშვილმა და სხვ. მაგრამ შეჯიბრებამ ზოგიერთი ჩამორჩენილი რეგიონი და რაიონიც წარმოაჩინა. ასე მაგალითად, სპეციალისტები ვერ დააკმაყოფილა დუშეთის, ჭიათურის, საჩხერის, თერჯოლის, ქუთაისის, გორის რაიონის, ახალციხის, მცხეთის, აჭარისა და აფხაზეთის ნორჩ ძიუდოისტთა მომზადების დონემ. ცხადია ამ ქალაქებისა და რაიონების წარმომადგენლები პრიზიორთა შორის ვერ მოხვდნენ.

შეჯიბრებაში წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: მ. სარქისაშვილმა, ზ. სამუკაშვილმა (ორივე—ახმეტა), გ. კირაკოზაშვილმა (საგარეჯო), ნ. თურმანიძემ (გორი), გ. გაჩეჩილაძემ (ზესტაფონი), კ. წოწინაშვილმა და შ. ბექაურმა (თბილისი).

მერაბ ბროკელი,
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

წყალში სტომა

სტუმართა ამაო მოლოდინში

შეჯიბრების მასპინძლები სარბიელზე ამაოდ ელოდნენ აფხაზეთისა და აჭარის წარმომადგენელთა გამოჩენას. საქმე ის არის, რომ ამ გუნდებს ასპარეზობის დებულებაც და მოწვევაც თავის დროზე გაუგზავნეს და მერეც, როცა რესპუბლიკის ჭაბუკთა II სპორტული თამაშების პროგრამით გდათვალისწინებული წყალში მხტომელთა შეჯიბრება გაიმართა, აფხაზეთისა და აჭარის წარმომადგენლებს კიდევ ერთხელ შეახსენეს, რომ სულ მალე თბილისში, ვაკის საცურაო აუზში მოსწავლეთა შეჯიბრება გაიმართებოდა, მაგრამ ასპარეზობა მაინც აფხაზეთისა და აჭარის მოსწავლე სპორტსმენთა გარეშე ჩატარდა. ეს მით უფრო დასანანია, რომ რესპუბლიკის წყალში მხტომელთა შეჯიბრებებში ტრადიციულად, მხოლოდ აფხაზეთისა, აჭარის, თბილისის და ქუთაისის წარმომადგენლები მონაწილეობენ, რადგან სხვა რეგიონებში სპორტის ეს სახეობა დანერგილი არაა. ასე რომ, წყალში მხტომელთა შეჯიბრებაზე, რომელშიც 1974-75 წლებში დაბადებული ბიჭები და 1975-76 წლებში დაბადებული გოგონები გამოდიოდნენ, მხოლოდ თბილისელმა და ქუთაისელმა წყალში მხტომელებმა მოსინჯეს ძალა, ასპარეზობა სპორტული სკოლების მოსწავლეთა რესპუბლიკური თამაშების პროგრამით გაიმართა.

ყველაზე კარგად გამოვიდნენ თბილისელები ნანა ნებიერიძე (განათლების სამმართველო) და ოლეგ ვასილჩენკო („განთიადი“, განათლების სამმართველო).

81-ე საშუალო სკოლის მეოთხეკლასელმა მოსწავლემ ნებიერიძემ პროგრამის სამივე სახეობაში გაიმარჯვა, 146-ე საშუალო სკოლის მერვეკლასელმა ვასილჩენკომ კი ოთხიდან სამი პირველი ადგილი დაიკავა.

შეჯიბრების მონაწილეთაგან კიდევ ერთი, თბილისის 58-ე საშუალო სკოლის მეხუთეკლასელი ნიკო ჩიტია (განათლების სამმართველო) გახდა ჩემპიონი.

ეს ნორჩი სპორტსმენები ლიუდმილა გუტიაკუოვას, იოსებ ელბაჭიძისა და ალექსანდრე ბართაიას აღსაზრდელები არიან. სხვათა შორის, დანარჩენი პრიზიორებიც თბილისელები არიან. ის ერთი, რომელმაც მასპინძლებს საპრიზო ადგილები „წაართვა“ და ერთი მეორე და ორი მესამე ადგილი დაისაკუთრა, ოქსანა სპირიდონოვა გახლავთ (ქუთაისის განათლების განყოფილების გუნდის წევრი).

გუნდურ პირველობაში თბილისელებმა გაიმარჯვეს — 3158,20 ბალი. ქუთაისელებმა 780,15 ბალი მოაგროვეს.

2 1 3 ქვარცხლბეკი

გოგონები. 1-მეტრიანი ტრამპლინი. ნანა ნებიერიძე — 242,13, იანა ოჰანესიანი — 187,08, ოქსანა სპირიდონოვა — 177,82, **3-მეტრიანი ტრამპლინი.** ნებიერიძე — 215,43, ირინა ფიოდოროვა—173,44, სპირიდონოვა — 161,70; **კოშკი. 3 მ. სიბიზო პროგრამა** ნებიერიძე — 148,60, სპირიდონოვა — 124,95, ოჰანესიანი — 121,92.

ბიჭები. 1-მეტრიანი ტრამპლინი. ოლეგ ვასილჩენკო — 272,67, ნიკოლოზ ჩიტია — 254,07, ალექსანდრე ხაგულაშვილი — 245,97; **3-მეტრიანი ტრამპლინი.** ვასილჩენკო — 281,73, ჩიტია — 242,94, გიორგი ცანავა — 238,47; **კოშკი. 3 მ. სიბიზო პროგრამა.** ვასილჩენკო — 252,0, ჩიტია — 238,44, მიხეილ არაქელოვი — 219,39; **კოშკი. 7,5 მ.** ჩიტია — 263,34, ოლეგ ვასილჩენკო — 259,41, არაქელოვი — 226,95.

ფინალი სარეკორდო ანგარიშით

დასასრული

სი. სამტრედიელები აქამდე „ქრონიკული“ აუტსაიდერები იყვნენ, მაგრამ ახლა საგრძნობლად დაწინაურდნენ — მეოთხე ადგილი მათთვის დიდი წარმატებაა. სხვათა შორის, ყველაზე დაძაბული და საინტერესო შეხვედრა სწორედ სამტრედიელი კალათბურთელების მონაწილეობით გაიმართა. ზთთ ფინალურ ქვეჯგუფში ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს აფხაზეთის გუნდს. ამაზე ნათლად შეტყველებს შეხვედრის ანგარიშიც: პირველი ტაიმი 33:33-ით დამთავრდა და გამარჯვებული ვერც შესვენების შემდეგ გამოვლინდა — 71:71. სამტრედიელებმა მხოლოდ დამატებით დროში წააგეს შეხვედრა (79:80). მათი მწვრთნელის ავთანდილ ქუთათელაძის დამსახურებაა ის, რომ კახა შენგელია თბილისის „დინამოში“ თამაშობს, ხოლო მიშიკო ნიკოლაძე — „მართველში“. ყველაზე სუსტად გამოვიდნენ სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლები. მათ არც ერთი შეხვედრა არ მოუგიათ.

● **მოსწავლეთა შეჯიბრებები ჩვენი რეზერვის ერთგვარი დათვალიერებაა. ვისი იმედი უნდა გვქონდეს მომავალში?**

— პერსპექტიული კალათბურთელები არიან ბათუმელი სერგო ქორქია (სიმაღლე 195 სმ) და ალკახარ ბალათურია. მიუხედავად იმისა, რომ ალკახარი ტანმორჩილია, ძალიან მოძრავია და ტაქტიკური თამაშით გამოირჩევა. მომავალში ალბათ თავიანთ სიტყვას იტყვიან თბილისელი არჩილ ხელაშვილი (190 სმ), ზაზა გვარამია (196) და იგორ მურაიტოვი (190). იგორი 1974 წელსაა დაბადებული, მაგრამ უკვე მიიქცია ყურადღება.

ეს შეჯიბრება ერთგვარი მოსამზადებელი ეტაპი იყო სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშებისათვის, რომელიც აგვისტოში თბილისში გაიმართება.

ჯემალ ჯაბაძე.

საქართველოს მოსწავლე კალათბურთელთა პირველობაში გამარჯვებული თბილისის ნაკრები გუნდი.

„სპორტლოტო“

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეჯამა „სპორტლოტოს“ მორიგი, მეექვსე ტირაჟების შედეგები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: გაიყიდა 922850 ბარათი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო, ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (78 ბარათი) მოგება 709 მანეთია, ოთხისთვის (4141) — 20, სამისთვის (56698) — 3.

„სპორტლოტო 5 36“-დან: გაიყიდა 8262126 ბარათი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (25 ბარათი) მოგება 10 000 მანეთია, ოთხისთვის (4206) — 209, სამისთვის (192673) — 7.

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

იძულებითი ექსპერიმენტი

კაუნასი. ეს ალბათ მაინც იძულებითი ნაბიჯი გახლავთ. თორემ „ყალგირისის“ უფროსი მწვრთნელი ვ. გარასტასი თავისი გუნდის მონაწილეობას მთავარ სუპერფინალში ეჭვის ქვეშ არ დააყენებდა. უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატში ამჟამად სწორედ სუპერფინალისტთა წყვილების საკითხი წყდება. „კაუნასის „ყალგირისი“ ჯერჯერობით ინარჩუნებს ქულების მარაგს, მაგრამ ოთხი ძირითადი მოთამაშის გარეშე თამაშმა შესაძლებელია მას პრობლემები შეუქმნას.

ყოველ შემთხვევაში დონეცკის „შახტიორთან“ მატჩში ლიტველებმა ეს მდგომარეობაც გაითვალისწინეს და შეხვედრა მეტი პასუხისმგებლობით და მონდომებით ჩაატარეს. და გამოირკვა, რომ გუნდს შესუსტებული შემადგენლობითაც შეუძლია ბრძოლა. პირველი ნახევარი ლიტველებმა 20 ქულით მოიგეს — 50:30. ინიციატივას ისინი შესვენების შემდეგაც ფლობდნენ და ბრძოლა სასურველი შედეგით დაამთავრეს — 87:73.

ყველაზე შედეგიანი კალათბურთელები ლიტველთა შორის ალგირდას ბრაზისი და რაიმუნდას ჩივილისი იყვნენ. მათ თავიანთ კოლექტივს 14-14 ქულა შესძინეს. „შახტიორში“ თავი გამოიჩინეს ნიკოლოზ ივახნენკომ (20 ქულა) და მაქსიმ კოროპჩევმა (15).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 17 თებერვლისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	29	24	5	2782-2353	53
„ყალგირისი“ (კაუნასი)	30	22	8	2633-2425	52
„სპარტაკი“ (ლენინ.)	29	16	13	2391-2368	45
„დინ.“ (თბ.)	28	16	12	2217-2297	44
„შახტიორი“ (დონეცკი)	29	14	15	2333-2387	43
ვეფ (რიგა)	29	13	16	2567-2656	42

სსრ კავშირის ჩემპიონატი 100-უჯრედიან შაშში

უშედეგო ტური

დაუგავპილსი (ლატვია), **17 თებერვალი (დეპეშით, „ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი).** 100-უჯრედიან შაშში სსრ კავშირის ვაჟთა ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ტურნირის IV ტურში ერთის გარდა ყველა პარტია ყაიმით დამთავრდა. თბილისელი ოსტატი ჯუმბერ ბერიშვილი დაუზავდა მინსკელ ოსტატს მარკ შულმანს. გადატანილია ბერჩის-პრესმანის შეხვედრა. 4 ტურის შემდეგ ტუნდის ვალნერისს (რიგა), ვადიმ ვირნის (ხარკოვი), ალექსეი ვერხოვიხსა (კალინინი) და იური ერმაკოვს (მოსკოვი) 2,5-2,5 ქულა აქვთ. 2 ქულა მოაგროვა ჯუმბერ ბერიშვილმა და რვა მოშაშესთან ერთად V-XII ადგილებს იყოფს.

არტურ გოიხმანი.

საიუბილეო თარიღს დაემთხვა

მშვიდობის წლევანდელი ველორბოლა ბერლინის 750 წლისთავის ზეიმს ემთხვევა. ამისათვის ბერლინში, მაგდებურგსა და გერში საგანგებოდ ემზადებიან. შეჯიბრების მონაწილეებს სასტარტო ნომრებს 7 მაისს კონგრესების დარბაზში გადასცემენ.

საორგანიზაციო კომიტეტის განცხადებით, მშვიდობის ველორბოლის ტრასა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში 628 კილომეტრზეა გადაჭიმული. 13 მაისს იგი გადაკვეთს ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო საზღვარს და ამ ქვეყნის ტერიტორიაზე გაგრძელდება.

მე-40 საიუბილეო ველორბოლაში მონაწილეობის სურვილი ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთისა და გდრ-ის გარდა, გამოთქვეს ჩინელმა, პორტუგალიელმა, მექსიკელმა და რუმინელმა ველოსიპედისტებმა. განცხადებების მიღება გრძელდება.

ჩოგბურთი

ამერიკელი ვეტერანი გააგრძელა გრძოლა

აშშ-ის კორტებზე გრძელდება ტრადიციული ხაზამთრო ტურნირები, რომლებშიც მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელებთან ერთად ხაბეოდა სპორტსმენებიც ასპარეზობენ.

ერთ-ერთი ასეთი ტურნირია პოპულარული „ვირჯინია სლიმზი“. სვეტლანა პარხომენკოსა და ლარისა სავჩენკოს წყვილმა ფინალამდე მიაღწია. აქ საბჭოთა ჩოგბურთელთა მეტოქე ამერიკელები ლორი მაკნეილი და კიმ სანდო იყვნენ. დაძაბულ ბრძოლაში წარმატებას პარხომენკო—სავჩენკოს დუეტმა მიაღწია (6:4, 6:4), რომელმაც დაისაკუთრა კიდეც ერთ-ერთი მთავარი პრიზი. ქალთა ერთეულებში გამარჯვებას ავსტრალიელმა ელიზაბეტ სმაილმა მიაღწია (მან გადამწყვეტ შეხვედრაში მაკნეილს აჯობა).

არანაკლები ინტერესი გამოიწვია აშშ-ის ღია ჩემპიონატმა დახურულ კორტებზე. ეს ინტერესი განსაკუთრებით გააღვივა მსოფლიოს ჩოგბურთის ერთ-ერთი ვეტერანის, 34 წლის ამერიკელი ჯიმი კონორსის კარგმა თამაშმა. კონორსმა წარმატებით ჩაატარა წინასწარი შეხვედრები. ნახევარფინალში შვედი მიკაელ პერნფორსი დაამარცხა (6:7, 7:5, 6:3) და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

მეორე ფინალისტი მსოფლიოს მესამე ჩოგბურთელი შვედი სტეფან ედბერგი იყო, რომელმაც ნახევარფინალში ამ ტურნირის შარშანდელ ჩემპიონს ამერიკელ ბრედ ჯილბერტს აჯობა (6:4, 7:6), კონორსისა და ედბერგის გადამწყვეტმა შეხვედრამ მაყურებლების დიდი ინტერესი გამოიწვია. პირველი პარტია შვედმა შედარებით ადვილად მოიგო — 6:3. მეორე პარტიაში კი კონორსი მოულოდნელად დაშავდა და გამარჯვება ედბერგს მიენიჭა.

ციხფერ ეკრანზე

ცენტრალური ტელევიზია. 18 თებერვალი. დილის დაჟურვა — **8.00 (1);** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** სათხილამურო სპორტი: მსოფლიო ჩემპიონატი. ქალთა ესტაფეტა 4X5 კილომეტრზე (გადაცემა გფრ-დან) — **13.55 (2);** სათხილამურო სპორტი: მსოფლიო ჩემპიონატი. ორჭიდელთა შეჯიბრება თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომაში (გადაცემა გფრ-დან) — **21.15 (2).**

საქართველოს ტელევიზია. 18 თებერვალი. სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში: ვეფ (რიგა) — „დინამო“ (თბილისი). 17 თებერვლის შეხვედრის ვიდეოჩანაწერი — **22.40.**

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

თბილისის საექსკურსიო-სამოგზაურო ბიურო სამოგზაუროდ გიწვევთ (27 თებერვლიდან 13 მარტამდე) ტურისტული მატარებლით „საქართველო“.

მოგზაურობის მარშრუტია:

თბილისი — პოლტავა — კიევი — მინსკი — ვილნიუსი — კაუნასი — რიგა — ტალინი — ლენინგრადი — როსტოვი — თბილისი.
საგზური ღირს 158 მან. ამ საფასურში შედის მგზავრობა კუპირებული ვაგონით, სამჯერადი კვება ვაგონ-რესტორანში, საექსკურსიო მომსახურება მარშრუტით გათვალისწინებულ ქალაქებში.
საგზურები იყიდება როგორც ნაღდ ანგარიშზე, ისე გადარიცხვით. დამატებითი ცნობები შეგიძლიათ მიიღოთ ბიუროს საგზურების სარეალიზაციო განყოფილებაში.
ჩვენი მისამართია: მეტეხის აღმართი 4, ტელეფონი 74-40-67.

ესპანეთი

შედგა ესპანეთის თასის გათამაშების მერვედფინალური შეხვედრები, ჩემპიონატის აუტსაიდერმა პამპლონის „ოსასუნამ“ შეჯიბრებიდან გამოთიშა ერთპიროვნული ლიდერი „ბარსელონა“. პირველ თამაშში, რომელიც ბარსელონაში გაიმართა, გაიმარჯვეს სტუმრებმა — 1:0. ეს ბურთი შეხვედრის მე-6 წუთზე გაიტანა ხუან გოიკოეჩეამ. აღსანიშნავია, რომ თამაშის ბოლოს „ოსასუნის“ ნახევარმცველმა ბუსტინგორიმ ვერ გამოიყენა თერთმეტმეტრიანი. განმეორებით შეხვედრაში „ბარსელონამ“ მხოლოდ ერთი გოლის გატანა მოახერხა (ლინეკერი). დამატებით დროში ვერცერთმა გუნდმა ვერ გაიტანა ბურთი. პენალტების სერიამ შეხვედრის ბედი „ოსასუნის“ სასარგებლოდ გადაწყვიტა.

მეორე დივიზიონის ერთ-ერთმა ლიდერმა „ლოგრონიესმა“ დაამარცხა „ბეტისი“ (3:1, 0:0), დანარჩენ შეხვედრებს მოულოდნელი შედეგი არ მოუტანია.

მეოთხედფინალში გუნდები ასე დაწყვილდნენ: „ოსასუნა“ — „რეალი“ (მადრიდი), „ატლეტიკო“ (მადრიდი) — „რეალი“ (მალიორკა), „ატლეტიკი“ (ბილბაო) — „ლოგრონიესი“, „რეალ სოსიედადი“ (სანსებასტიანი) — „ატლეტიკო“ (მალიორკა). საინტერესოა, რომ მალიორკის „ატლეტიკო“ ამ ქალაქის უძლიერესი კლუბის „რეალის“ ფილიალია.

ჩემპიონატის მორიგ ტურში „ბარსელონამ“ დაამარცხა მურსიის „რეალი“ — 2:0 (რობერტო, ლინეკერი) და კიდევ უფრო გაზარდა სხვაობა უახლოეს მდევართან მადრიდის „რეალთან“. მადრიდელი ფეხბურთელები დამარცხდნენ მალიორკაში ადგილობრივ „რეალთან“ — 0:1 (მაგდალენო). „ესპანიოლმა“ გაიმარჯვა სანტანდერში „რასინგთან“ — 3:1. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს ვალვერდემ (2) და პიჩი ალონსომ. მადრიდის „ატლეტიკო“, რომელსაც სათავეში კვლავ ჩაუდგა ლუის არაგონესი, დამარცხდა „სევილიასთან“ — 0:2. „ოსასუნამ“ ბოლო ოთხ შეხვედრაში შვიდი ქულა მოიპოვა და საგრძნობლად გაუუმჯობესა მდგომარეობა. ამჯერად მან ლას-პალმასის „უნიონს“ მოუგო — 2:1.



საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები

სხვა ანგარიშები: „რეალ სოციედადი“ — „სპორტინგი“ (ხიხონი) — 2:1, „საბადელი“ — „ატლეტიკი“ (ბილბაო) — 0:0, „კადისი“ — „ვალიადოლიდი“ — 1:1, „ბეტისი“ — „რეალი“ (სარაგოსა) — 0:1.

ბომბარდირთა სიას სათავეში უდგას მექსიკელი უგო სანჩესი (მადრიდის „რეალი“) — 22 (აქედან 7 —თერთმეტმეტრიანი დარტყმით), მეორე ადგილზეა ლინეკერი — 14 ბურთი.

„ბარსელონა“	27	40:13	41
„რეალი“ (მადრ.)	27	48:24	37
„ესპანიოლი“	27	42:25	34

ინგლისი

შაბათს გაიმართა 28-ე ტური. „ოქსფორდ იუნაიტედი“ საკუთარ მინდორზე შეხვდა ლიდერს, „ევერტონს“. მასპინძლების მიერ გატანილ თერთმეტმეტრიანს სტუმრებმა მხოლოდ შეხვედრის ბოლო წუთზე უპასუხეს — 1:1. ასეთივე ანგარიშით დამთავრდა კიდევ სამი შეხვედრა: „შეფილდი“ — „არსენალი“, „ნორიჩ სიტი“ — „მანჩესტერ სიტი“, „ნოტინგემ ფორესტი“ — „ვესტ ჰემ იუნაიტედი“.

„ლივერპულმა“ დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა ერთ-ერთი აუტსაიდერი „ლესტერ სიტი“ — 4:3. სამი ბურთი გაიტანა მასპინძელთა თავდამსხმელმა იენ რაშმა.

სხვა შეხვედრები: „კოვენტრი სიტი“ — „ჩელსი“ — 3:0 „ლუტონ თაუნი“ — „ასტონ ვილა“— 2:1, „მანჩესტერ იუნაიტედი“ — „უოტფორდი“ — 3:1, „ქუინზ პარკ რეინჯერსი“ — „ნიუკასლ იუნაიტედი“ — 2:1, „ტოტენჰემ ჰოტსპური“ — „საუთჰემპტონი“ — 2:0, „უიმბლდონი“ — „ჩარლტონ ათლეტიკი“ 2:0.

დაძაბულ ბრძოლაში ჩაიარა ლიოლვუდის თასის (ლიგის თასის) მეოთხედფინალურმა შეხვედრებმა, „ევერტონი“ დამარცხდა „ლივერპულთან“ — 0:1. ერთადერთი ბურთი შეხვედრის დამთავრებამდე 4 წუთით ადრე გაიტანა რაშმა. „არსენალმა“ მოუგო „ნოტინგემ ფორესტს“ — 2:0, ხოლო „საუთჰემპტონმა“ — „შრეზბერის“ — 1:0. „ვესტ ჰემ იუნაიტედისა“ და „ტოტენჰემ ჰოტსპურის“ პირველი შეხვედრა ფრედ (1:1) დამთავრდა. განმეორებით მატჩში გაიმარჯვა „ტოტენჰემმა“ — 5:0 (3 ბურთი ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა კლაივ ალენმა გაიტანა).

ნახევარფინალური შეხვედრები, წინა წრეებისაგან განსხვავებით, ორი მატჩისგან შედგება. უკვე გაიმართა პირველი თამაშები: ფრედ — 0:0 დამთავრდა შეხვედრა „საუთჰემპტონსა“ და „ლივერპულს“ შორის, ხოლო „არსენალი“ დამარცხდა „ტოტენჰემთან“ — 0:1 (ბურთი ალენმა გაიტანა).

ინგლისის ჩემპიონატის ლიდერთა შორის ახლა ასეთი მდგომარეობაა:

„ევერტონი“	28	53:23	54
„არსენალი“	27	42:15	53
„ლივერპული“	27	49:27	51

ბელგია

მე-20 ტურში „ანდერლეხტმა“ საკუთარ მოედანზე დაკარგა ქულა „მოლენბეკთან“ 1:1.

„ანდერლეხტს“ მიუახლოვდა „მეხელენი“, რომელმაც დაამარცხა „რესინგ იეტი“ — 2:0 (კლეისტერსი და მარტენსი), „ბევერენმა“ მოუგო „კორტრეიკს“ — 2:1, მასპინძელთაგან ბურთები გაიტანეს ლემუანმა და პოლონელმა კუსტომ.

სხვა ანგარიშები: „ვარეგემი“ — „ლოკერენი“ — 3:1, „გენტი“ — „სერანჟი“ — 2:2, „სერკლ ბრიუგე“ — „შარლეროა“ — 1:1, „ანტვერპენი“ — „ბეერსხოტი“ — 1:1, „ბერჰემი“ — „სტანდარდი“ — 1:0.

ბომბარდირთა სიას სათავეში უდგას ისლანდიელი გუდიონსენი („ანდერლეხტი“) — 12 ბურთი.

„ანდერლეხტი“	20	53:13	33
„მეხელენი“	20	32:9	31
„ბევერენი“	20	30:11	30

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096.
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 უე 05249